



გალთ & თაბარში

მშენიშ შესაძლებლობებს



ნედლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

12 ნოემბერი 2024




ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge

სერგი ყურაშვილი

ფინანსური ბაზრების ასოცირებული მკვლევარი | s.kurashvili@gt.ge





ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თვე/თვე*	ცვლილება, 2024 წლის დასაწყისიდან	ფასი 2021 წლის იანვრიდან
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	242.5	-1.0%	+34.7%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	73.2	+1.9%	-5.0%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	9,373.6	-3.3%	+10.7%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,285.0	0.0%	-3.7%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,357.8	-4.1%	-1.8%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	2,744.0	+4.2%	+33.0%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მცტ სთ	41.0	-6.9%	+31.4%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	239.0	+13.8%	-8.9%	

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: ფასები მოცემულია 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი


2024 წლის ოქტომბერში ნავთობის ფასი თვიურად 1.9%-ით გაიზარდა. თვის განმავლობაში ტრეიდერების ყურადღება მიმართული იყო ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის, OPEC+-ის მიწოდების ცვლილებისა და აშშ-ს არჩევნების პოტენციური შედეგებისკენ.

ოქტომბერი ირანის მიერ ისრაელზე თავდასხმით დაიწყო, რაც ჰეზბოლას ლიდერის მკვლელობის საპასუხო შეტევა იყო. ალბათობა გაჩნდა, რომ ისრაელის პასუხი ირანის ნავთობ-ინფრასტრუქტურის დაბომბვა იქნებოდა, რაც ფასს გაზრდიდა. თუმცა, ისრაელი მხოლოდ ირანის სამხედრო ობიექტებზე თავდასხმით შემოიფარგლა, რაც ნაწილობრივ ბაიდენის ადმინისტრაციის წნეხით იყო განპირობებული, რათა არჩევნებამდე ნავთობის ფასის ზრდა ლიმიტირებული ყოფილიყო. რეგიონის კონფლიქტი კვლავ აქტიურია და პოტენციურ ესკალაციას შესაძლებელია ირანის ნავთობ-ინფრასტრუქტურაზე თავდასხმაც მოჰყვეს.

აღსანიშნავია, რომ ირანის ნავთობის მიწოდების პოტენციური შეფერხება შესაძლებელია დაკომპენსირდეს OPEC+-ის სხვა მწარმოებელ ქვეყნებში წარმოების ზრდით. ბოლო ორი წლის განმავლობაში OPEC+-ის წევრებს საკუთარი წარმოების ნებაყოფლობითი შემცირება აქვთ გამოცხადებული (დღეში 2.2 მლნ ბარელი). ამ პროდუქციის ბაზარზე ეტაპობრივად დაბრუნება მიმდინარე წლის დეკემბრიდან იგეგმებოდა, თუმცა ნოემბრის შეხვედრაზე ამ ვადამ 2025 წლის იანვრამდე გადაინია. ამ ეტაპზე ფასის ფუნდამენტური ფაქტორები, განსაკუთრებით კი გლობალური მოთხოვნა (მეტწილად ჩინეთის დამსახურებით) მიწოდების ზრდის წინაპირობას ვერ ქმნის.


დამატებით, აშშ-ს არჩევნების შედეგი გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა ჩრდილოამერიკული მიწოდების ზრდაში ითარგმნოს. ტრამპის დაბრუნება ენერჯეტიკის სექტორისათვის დადებითად აღიქმება მისი წინასაარჩევნო დაპირებებიდან (საგადასახადო შეღავათები და დერეგულაცია) გამომდინარე. მომავალი პრეზიდენტის განცხადებით, ის ამერიკის ნავთობ ინდუსტრიას გამოაცოცხლებს - მისცემს მათ საშუალებას გაზარდონ წარმოება და შეანელონ განახლებად ენერჯიაზე ხელოვნური გადართვა.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



იმპორტის მოცულობა წლიურად 9.0%-ით გაიზარდა 9თვ24-ში და 902 ტონა შეადგინა. იმპორტის საშუალო ფასი ამავე პერიოდში 7.3%-ით არის გაზრდილი.

წყარო: საქსტატი




ენერჯეტიკა

ბუნებრივი აირი

2024 წლის ოქტომბერში ბუნებრივი აირის ფასი თვიურად 6.9%-ით შემცირდა. ევროპული გაზის ფასები სწრაფად შემცირდა მას შემდეგ, რაც Bloomberg-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით ევროპელი შემსყიდველები აზერბაიჯანულ „სოკრათან“ უკრაინის ტრანზიტის გასაგრძელებლად ხელშეკრულების გაფორმებასთან იყვნენ ახლოს. მოგვიანებით, სხვა წყაროებით ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის გაზის ტრანზიტის ხელშეკრულება მიმდინარე წლის ბოლოს იწურება, თუმცა გაზსადენის სამომავლო ბედი ჯერ კიდევ უცნობია. ევროკომისიის მიხედვით, ევროპა რუსული გაზისგან დამოუკიდებლობას ემხრობა და მზადაა უკრაინული ტრანზიტის შეწყვეტისთვის.


მოთხოვნის მხარეს ევროპა თბილი ნოემბრის მოლოდინშია. თვის განმავლობაში კონტინენტზე ტემპერატურა 30-წლიან საშუალოზე თბილი იქნება, რაც ბუნებრივ აირზე მოთხოვნას შეამცირებს. დამატებით, არსებული მარაგების 95% სავსეა, როცა სამიზნე მაჩვენებელი გათბობის სეზონის დაწყებისას 90% არის. სავსე მარაგებს კონტინენტის ზამთრის მოხმარების თითქმის მესამედის უზრუნველყოფა შეუძლია.

გრაფიკი 3: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მვტ სთ



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბუნებრივი აირის იმპორტის ღირებულება წლიურად 19.3%-ით შემცირდა 9თვ24-ში, რაც დაბალი საიმპორტო ფასის შედეგია, რადგან მოცულობა ბევრად ნაკლებად 5.4%-ით შემცირდა ნ/წ.

წყარო: საქსტატი



ძვირფასი ლითონები

ოქრო


2024 წლის ოქტომბერში ოქროს ფასი თვეურად 4.2%-ით გაიზარდა. შედეგად ოქროს ფასმა ახალ რეკორდულ ნიშნულს - ერთ უნციაზე თითქმის \$2,790-ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ამჯერად მატება ცენტრალური ბანკების ნაცვლად საცალო და სხვა ინსტიტუციონალური ინვესტორების დამსახურება იყო. თვის განმავლობაში მთავარი თემები დასავლეთის ქვეყნების ინვესტორების მხრიდან მოთხოვნა, განაკვეთების შემცირება და აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნები იყო.

ოქროს მსოფლიო კავშირის (WGC) ანგარიშის მიხედვით, 2024 წლის მე-3 კვარტალში ოქროზე მოთხოვნამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია, როგორც მოცულობაში (1,313 ტონა), ისე ღირებულებაში (\$100 მლრდ-ზე მეტი). ზრდა ე.წ. FOMO (fear of missing out) ფაქტორის შედეგი იყო, რადგან ბოლო თვეების ოქროს ფასის განგრძობითი ზრდა ბევრ ახალ ინვესტორს უბიძგებს ვაჭრობისკენ. ამასთან, მაღალმა ფასებმა ცენტრალური ბანკების შესყიდვები შეამცირა, თუმცა ინვესტორთა ახალი ტალღა საკმარისი აღმოჩნდა ამ ფაქტორის გადასაწონად.

დამატებით, მსხვილ ეკონომიკებში საპროცენტო განაკვეთების შემცირების ციკლი გრძელდება. ნოემბერში ფედერალურმა რეზერვმა და ინგლისის ცენტრალურმა ბანკმა განაკვეთები 25 საბაზისო პუნქტით შეამცირა. უახლესი პროგნოზის მიხედვით, აშშ-ში განაკვეთები კიდევ 25 საბაზისო პუნქტით შემცირდება დეკემბერში და კლება გაგრძელდება 2025 წელსაც. დაბალი განაკვეთები ოქროსთვის დადებითი ფაქტორია, რადგან მეტ კონკურენციას უწევს დაბალგანაკვეთიან სახაზინო ობლიგაციებს.


ამავდროულად, აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის გამარჯვებამ და მის მიერ გაცხადებულმა რეფორმებმა (გადასახადებზე, მიგრაციასა და იმპორტის ტარიფებზე) შესაძლოა ინფლაციური წნეხი და ფისკალური დეფიციტის მატება გამოიწვიოს, რაც სახაზინო ობლიგაციების შემოსავლიანობის ზრდაში აისახება, და შესაბამისად ოქროზე მოთხოვნა შესაძლოა შეასუსტოს. თუმცა, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა და პოტენციურმა სატარიფო ომმა ძვირფასი მეტალისადმი მოთხოვნა მაღალ ნიშნულზე უნდა შეინარჩუნოს.

გრაფიკი 5: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ოქროს ექსპორტის მოცულობა წლიურად 3.6%-ით შემცირდა 9თვ24-ში, თუმცა ღირებულებაში წლიურად 20.3%-ით გაიზარდა, ფასის ზრდის შედეგად.

წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატი

2024 წლის ოქტომბერში ამონიუმის ნიტრატის ფასი თვეურად 1.0%-ით შემცირდა. სასუქებზე გლობალური მოთხოვნა წლიურად უმნიშვნელოდაა გაზრდილი და კვლავ სასურველზე დაბალი რჩება. მსოფლიო ბანკის უახლესი მონაცემების მიხედვით, სასუქების ფასები 2024 წლის ბოლოს წლიურად მკვეთრად შემცირდება და მცირედი კლების ტენდენცია მომავალ წელსაც შენარჩუნდება.

ხორბალი


2024 წლის ოქტომბერში ხორბლის ფასი თვეურად 13.8%-ით გაიზარდა. საფრანგეთში ათწლეულის ყველაზე ცუდი მოსავალი დაფიქსირდა, სირთულეები კი მომავალ სეზონზეც შენარჩუნდება, რადგან ძლიერი წვიმების გამო ზამთრის თესვა გვიანდება. მეორეს მხრივ, რუსეთში თესვის პროცესს ზედმეტად მშრალი ამინდი უშლის ხელს. შედეგად, ქვეყანაში 2025 წელს 80 მლნ ტონა ხორბლის მოსავალს ელიან (ზედმედ მე-3 წლიური კლება), რაც გლობალურ მიწოდებაზე წნეხს კიდევ უფრო აძლიერებს.

გრაფიკი 7: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 8: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 9: ამოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ამოტოვანი სასუქების ექსპორტის ღირებულება წლიურად 33.2%-ით შემცირდა 9თვ24-ში. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მოცულობა მხოლოდ 6.0%-ით შემცირდა, ხოლო საქსპორტო ფასი ბევრად მეტი - 28.9%-ით.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 10: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ხორბლის იმპორტის ღირებულება წლიურად 35.6%-ითაა გაზრდილი 9თვ24-ში, ხოლო მოცულობა 55.9%-ით, რაც შემცირებული საშუალო იმპორტის ფასითაა გამოწვეული (-13.0% წ/წ).

წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები


სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2024 წლის ოქტომბერში სპილენძის ფასი თვეურად 3.3%-ით შემცირდა. სუსტი გლობალური ეკონომიკური აქტივობა და ძლიერი დოლარი ფასებზე მნიშვნელოვან წნეხს ახდენს. სექტემბერში ჩინეთში იმპორტის მოცულობა 500 ათას ტონას გადაცდა, რაც მაისის შემდეგ უმაღლესი მაჩვენებელია. მიუხედავად ამისა, ჩინეთის მთავრობის დახმარების პაკეტი საკმარისი არ აღმოჩნდა ინვესტორებში წითელი მეტალისადმი ნდობის აღსადგენად. დამატებით, აშშ-ს არჩევნებში ტრამპის გამარჯვება დოლარს ამყარებს, რაც დოლარში გამოსახული მეტალების ფასს ამცირებს. მსოფლიო ბანკის პროგნოზის მიხედვით სპილენძის ფასი მხოლოდ მცირედით გაიზრდება 2025 წელს.

ფეროსილიკონი


2024 წლის ოქტომბერში ევროპული ფეროსილიკონის ფასი თვეურად 4.1%-ით შემცირდა, ჩინურის კი ერთ ტონაზე \$1,285 შენარჩუნდა. საბაზო მეტალები გლობალურად მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე არიან, განსაკუთრებით კი დაბალი მოთხოვნის სეზონზე. ამჟამინდელი პროგნოზების მიხედვით რკინის მადნის ფასი მიმდინარე წლის ბოლომდე კლებას განაგრძობს და გამოკეთების მოლოდინი არც 2025 წლის განმავლობაში არის. ფასის გლობალურმა დინამიკამ კიდევ ერთ ქართულ მწარმოებელს - „ჯორჯიან მანგანუმს“ აიძულა ფეროშენადნობების წარმოების 6 თვით შეჩერება.

გრაფიკი 11: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 12: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 13: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



სპილენძით საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი რეექსპორტია და გარე ფაქტორებზე დამოკიდებული. 2023 წლის კვების შემდეგ, იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა დაბალ ნიშნულზეა 9თვე24-ში.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 14: ფეროშენადნობების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ფეროშენადნობების ექსპორტის ღირებულება წლიურად 62.1%-ით, მოცულობა კი 70.1%-ით გაიზარდა 9თვე24-ში და 197k ტონა შეადგინა. მომდევნო თვეებში ექსპორტის შენელებაა მოსალოდნელი.

წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომხმარებელია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია შესაძლო მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლოა მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებაზე უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვას.

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge